

ტესტები

საქართველოს კონსტიტუცია

1. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს პოლიტიკური წყობილების ფორმა არის:

- ა) საპრეზიდენტო რესპუბლიკა;
- ბ) დემოკრატიული რესპუბლიკა;
- გ) სამართლებრივი რესპუბლიკა;
- დ) კონსტიტუციური რესპუბლიკა

2. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა:

- ა) არის უნიტარული სახელმწიფო;
- ბ) არის ფედერაციული სახელმწიფო;
- გ) განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ;
- დ) განისაზღვრება ორგანული კანონით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ

3. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება:

- ა) საქართველოს კონსტიტუციით;
- ბ) ორგანული კანონით;
- გ) კანონით;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით

4. საქართველოს მოქალაქისათვის მოქალაქეობის ჩამორთმევა ან საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გაძევება:

- ა) დაუშვებელია;
- ბ) შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- გ) შესაძლებელია კანონით დადგენილ შემთხვევებში;
- დ) შესაძლებელია სასამართლოს გადაწყვეტილებით კანონით დადგენილ შემთხვევებში.

5. ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია.

აღნიშნული უფლებების შეზღუდვა დაიშვება:

- ა) მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით;
- ბ) პროკურორის გადაწყვეტილებით კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- გ) სასამართლოს გადაწყვეტილებით ან მის გარეშე, კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას;
- დ) თუ სასამართლო პროკურორის შუამდგომლობით დაადგენს, რომ არის გადაუდებელი აუცილებლობა.

ევროპული ქარტია „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“

1. რომელ წელს იქნა მიღებული ევროპის ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ?

- ა) 2002 წელს;
- ბ) 1985 წელს;
- გ) 1968წელს;
- დ) 1975 წელს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტიის მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის არსებობის სავალდებულო ნიშანს?

- ა) მერის არჩევითობა;
- ბ) საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით არჩეული წარმომადგენლობითი ორგანოს არსებობა;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების უფლებამოსილებათა ურთიერთგამიჯვნა;
- დ) თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს არჩევითობა.

3. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტის შესაბამისად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოები არჩეული უნდა იყვნენ:

- ა) პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით;
- ბ) პირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ღია კენჭისყრით;
- გ) არაპირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ფარული კენჭისყრით;
- დ) არაპირდაპირი, თანაბარი და თანასწორი ხმის მიცემის საფუძველზე ღია კენჭისყრით;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტის შესაბამისად:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ცენტრალური ხელისუფლების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი მათი პასუხისმგებლობითა და სახელმწიფოს მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად;
- დ) ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი წილი სახელმწიფოს პასუხისმგებლობითა და სახელმწიფოს მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად.

5. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპის ქარტის მე-4 მუხლის თანახმად:

- ა) თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი განსაზღვრული უნდა იყოს ქვეყნის კანონმდებლობით და თუ ეს შესაძლებელია, კონსტიტუციით;
- ბ) თვითმმართველობის უფლებამოსილებანი განსაზღვრული უნდა იყოს პრეზიდენტის მიერ;
- გ) თვითმმართველობის უფლებამოსილებანი განსაზღვრული უნდა იყოს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტებით;

დ) თვითმმართველობის უფლებამოსილებები განსაზღვრული უნდა იყოს მთავრობის ნორმატიული აქტებით.

**საქართველოს ორგანული კანონი
„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“**

1. ვისი უფლებაა ადგილობრივი თვითმმართველობა?

- ა) საქართველოს მოქალაქეების;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების;
- გ) სახელმწიფო ორგანოების;
- დ) ადგილობრივი საზოგადოების;

2. რა საკითხებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები?

- ა) სახელმწიფო მნიშვნელობის ადგილობრივ საკითხებს;
- ბ) მოქალაქეთა საყოფაცხოვრებო საკითხებს;
- გ) ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებს;
- დ) მთავრობის მიერ განსაზღვრულ მუნიციპალური მნიშვნელობის საკითხებს.

3. რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი?

- ა) თვითმმართველი ერთეულის სტატუსით;
- ბ) მუნიციპალიტეტი დასახლებათა ერთობლიობაა, ხოლო თვითმმართველი ქალაქი – ქალაქის კატეგორიის დასახლება;
- გ) მოსახლეობის სიმჭიდროვით;
- დ) პარლამენტის მიერ დადგენილი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარამეტრებით;

4. რას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეული?

- ა) მუნიციპალიტეტში შემავალ ცალკე დასახლებას (სოფელს, დაბას ან ქალაქს);
- ბ) მთავრობის მიერ განსაზღვრულ იმ ტერიტორიას, სადაც იქმნება ადმინისტრაციული ორგანო;
- გ) მუნიციპალიტეტის ნაწილს, სადაც იქმნება ტერიტორიული მართვის ორგანო;
- დ) მუნიციპალიტეტში შემავალ დასახლებას, სადაც მუდმივად ცხოვრობს არა ნაკლებ 1000 ამომრჩეველი.

5. რომელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი?

- ა) საკრებულო;
- ბ) საკრებულო და გამგეობა (მერია);

- გ) თვითმმართველი ერთეული;
- დ) ადმინისტრაციული ერთეული

6. დასახლების კატეგორია:

- ა) სოფელი, თემი, ქალაქი;
- ბ) სოფელი, დაბა, ქალაქი;
- გ) მუნიციპალიტეტი და თვითმმართველი ქალაქი;
- დ) სოფელი და ქალაქი.

7. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების კანონით დადგენილ ძირითად პრინციპს?

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს პასუხისმგებლობა საკრებულოსა და საქართველოს მთავრობის წინაშე;
- ბ) სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობის გამიჯვნა;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამებში;
- დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულობა სახელმწიფოს წინაშე.

8. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებისას მოქალაქეების რომელი უფლება არის გარანტირებული „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონით?

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების გაპროტესტების უფლება ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში;
- ბ) საკრებულოს წევრისათვის უნდობლობის გამოცხადების უფლება;
- გ) თვითმმართველობის ორგანოს გადაწყვეტილებათა პროექტების გამოქვეყნებისა და მათი საჯარო განხილვების მოწყობის მოთხოვნის უფლება;
- დ) ადგილობრივ რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება.

9. თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებათა სახეებია:

- ა) საკუთარი და დელეგირებული;
- ბ) განსაკუთრებული და დელეგირებული;
- გ) ნებაყოფლობითი და დელეგირებული;
- დ) ექსკლუზიური და დელეგირებული.

10. ვისი უფლებამოსილებაა დასახლებების შექმნისა და გაუქმების, ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის, სახელის მინიჭებისა და შეცვლის წესების დადგენა?

- ა) საკრებულოს;

- ბ) მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებულის - გუბერნატორის;
- გ) გამგეობის რწმუნებულის;
- დ) სახელმწიფო ხელისუფლების;

11. სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილებას ადგილობრივ თვითმმართველობის სფეროში განეკუთვნება:

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის შიდა ადმინისტრაციული სტრუქტურის განსაზღვრა;
- ბ) გამგებლის (მერის) თანამდებობაზე დანიშვნა და გათავისუფლება;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა;
- დ) ადგილობრივ თვითმმართველობის მოხელეთა საშტატო ნუსხის განსაზღვრა

12. ვალდებულნი არიან თუ არა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები იმ საკითხზე გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შეეხება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კანონით დადგენილ უფლებამოსილებებს გამართონ კონსულტაციები თვითმმართველი ერთეულების გაერთიანებასთან (არასამეწარმეო იურიდიულ პირთან)?

- ა) არ არიან ვალდებულნი;
- ბ) ყოველთვის ვალდებულნი არიან;
- გ) ვალდებულნი არიან თვითმმართველი ერთეულების გაერთიანების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ეს არასამეწარმეო იურიდიული პირი აერთიანებს თვითმმართველი ერთეულების ნახევარზე მეტს;
- დ) ვალდებულნი არიან თვითმმართველი ერთეულების გაერთიანების მოთხოვნის შემთხვევაში, თუ ამ მოთხოვნას მხარს დაუჭერს შესაბამის არასამეწარმეო იურიდიულ პირის დამფუძნებელ თვითმმართველ ერთეულთა ორი მესამედი მაინც.

13. როგორ ხდება თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკის მიღება?

- ა) ამტკიცებს საკრებულო გამგებლის წარდგინებით;
- ბ) ამტკიცებს საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკური კომისია საკრებულოს წარდგინებით;
- გ) ამტკიცებს გამგებელი საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის წარდგინებით;
- დ) ადგენს საკრებულო საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკური კომისიის თანხმობით.

14. შეიძლება თუ არა თვითმმართველი ერთეულების მიერ მოსახლეობის მომსახურების გაწევის მიზნით ერთობლივი სამსახურის შექმნა?

- ა) შეიძლება, თუ მიღებული იქნა საქართველოს მთავრობის შესაბამისი დადგენილება;
- ბ) არ შეიძლება
- გ) შეიძლება, თუ მიღებული იქნა სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის შესაბამისი გადაწყვეტილება;
- დ) შეიძლება, თუ თვითმმართველი ერთეულების საკრებულოები მიიღებენ შესაბამის გადაწყვეტილებას და ხელშეკრულების საფუძველზე შექმნიან ასეთ სამსახურს.

15. თვითმმართველი ერთეულის სიმბოლიკის გამოყენების წესი განისაზღვრება:

- ა) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
- ბ) საქართველოს მთავრობის დადგენილებით;
- გ) საკრებულოს დადგენილებით;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით

16. რომელი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას თვითმმართველი ერთეულის შექმნის შესახებ?

- ა) საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ) საქართველოს მთავრობა;
- გ) საქართველოს პარლამენტი საქართველოს პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე;
- დ) საქართველოს პარლამენტი საქართველოს მთავრობის წარდგინების საფუძველზე.

17. თვითმმართველი ერთეულის შექმნის საფუძველია:

- ა) თვითმმართველი ერთეულის გამოყოფა სხვა თვითმმართველი ერთეულიდან;
- ბ) თვითმმართველი ერთეულის მიერთება სხვა თვითმმართველ ერთეულთან;
- გ) თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ან გაერთიანება მოსაზღვრე თვითმმართველ ერთეულთან;
- დ) მხოლოდ თვითმმართველი ერთეულის გაყოფა ორ ან მეტ თვითმმართველ ერთეულად.

18. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ამოქმედდება ადგილობრივი თვითმმართველობის მორიგი არჩევნების დანიშვნის დღისათვის თუ:

- ა) დადგენილება შეეხება თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრის ცვლილებას;
- ბ) დადგენილება შეეხება თვითმმართველი ერთეულის გაუქმებას;
- გ) დადგენილება შეეხება თვითმმართველი ერთეულის შექმნას;
- დ) დადგენილება შეეხება თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებას.

19. ვისი ინიციატივით შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტმა თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრის შეცვლის შესახებ?

- ა) საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით;
- ბ) საქართველოს მთავრობის ან შესაბამისი თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების ინიციატივით;
- გ) სახელმწიფო რწმუნებულის -გუბერნატორის ინიციატივით;
- დ) პარლამენტის კომიტეტის ინიციატივით.

20. რომელი ორგანო ახდენს თვითმმართველი ერთეულების რეგისტრაციას?

- ა) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;
- ბ) საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- გ) საქართველოს იუსტიციის სამინისტრო;
- დ) ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

21. იმისათვის, რომ პარლამენტმა მიიღოს დადგენილება თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული საზღვრის ცვლილების შესახებ აუცილებელია:

- ა) შესაბამის თვითმმართველ ერთეულებში რეფერენდუმის ჩატარება;
- ბ) შესაბამის თვითმმართველი ერთეულების საკრებულოების თანხმობა;
- გ) მთავრობის წარდგინება;
- დ) პრეზიდენტის განკარგულება.

22. რომელი აქტით განისაზღვრება თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებანი?

- ა) ორგანული კანონით;
- ბ) მთავრობის დადგენილებით;
- გ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით;
- დ) საქართველოს კანონით.

23. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი საკითხი განეკუთვნება თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას?

- ა) საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა;
- ბ) მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა;
- გ) ადგილობრივი გადასახადების და მოსაკრებლების შემოღება;
- დ) ადგილობრივი გადასახადების ამოღება.

24. თვითმმართველი ერთეულისათვის უფლებამოსილებათა დელეგირება დაიშვება:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ საკრებულო უარს არ იტყვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელებაზე;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ თვითმმართველ ერთეულს გააჩნია სათანადო ფინანსური და მატერიალური რესურსები;
- გ) კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსების გადაცემით;
- დ) საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე.

25. ვინ არის თვითმმართველი ერთეულის ხელმძღვანელი?

- ა) გამგებელი (მერი);
- ბ) საკრებულოს თავმჯდომარე;
- გ) საკრებულოს გადაწყვეტილების შესაბამისად გამგებელი ან საკრებულოს თავმჯდომარე;
- დ) სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი.

26. რა ვადით ირჩევა საკრებულო?

- ა) 4 წლით;
- ბ) საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დადგენილი ვადით;
- გ) 3 წლით;
- დ) ადგილობრივ არჩევნებს შორის არსებული ვადით, იმის გათვალისწინებით, რომ ადგილობრივი არჩევნების ჩატარების თარიღს განსაზღვრავს საქართველოს პრეზიდენტი.

27. თვითმმართველ ქალაქებში, რომელშიც მცხოვრებ ამომრჩეველთა რაოდენობა 75 000-ზე მეტია აირჩევა საკრებულოს:

- ა) პროპორციული სისტემით 10 და მაჟორიტარული სისტემით 15 წევრი;
- ბ) პროპორციული სისტემით 15 და მაჟორიტარული სისტემით 10 წევრი;
- გ) პროპორციული სისტემით 10 და მაჟორიტარული სისტემით 5 წევრი;
- დ) პროპორციული სისტემით 5 და მაჟორიტარული სისტემით 10 წევრი.

28. ადგილობრივი თვითმმართველობის რომელ ორგანოს შეუძლია ადგილობრივი გადასახადების შემოღება და გაუქმება?

- ა) გამგებელს საკრებულოს თანხმობით;
- ბ) საკრებულოს ბიუროს;
- გ) საკრებულოს;

დ) ადგილობრივი გადასახადის შემოღება ხდება კანონით და თვითმმართველობა არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება ადგილობრივი გადასახადის შემოღებასა ან გაუქმებაზე.

29. რა პერიოდულობით ტარდება საკრებულოს მორიგი სხდომები?

- ა) თვეში ერთხელ მაინც;
- ბ) სამ თვეში ერთხელ მაინც;
- გ) მხოლოდ საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული პერიოდულობით;
- დ) საკრებულოს ბიუროს მიერ დადგენილი პერიოდულობით.

30. ახალარჩეული საკრებულოს პირველი სხდომა შეიძლება გაიხსნას:

- ა) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის 2/3;
- ბ) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
- გ) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
- დ) თუ მას ესწრება (რეგისტრაცია გაიარა) ახალარჩეული საკრებულოს სიითი შემადგენლობის 2/3.

31. ახალარჩეული საკრებულოს პირველი შეკრება შემდგარად ჩაითვლება, თუ:

- ა) საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა
- ბ) საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი;
- გ) საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სიითი შემადგენლობის არანაკლებ ორი მესამედისა
- ბ) საკრებულოს წევრთა რაოდენობა, რომელთა უფლებამოსილებაც ცნო საკრებულომ, არის საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი;

32. ვისი ინიციატივის შემთხვევაში უნდა გაიმართოს საკრებულოს რიგგარეშე სხდომა?

- ა) საკრებულოს ბიუროს;
- ბ) საკრებულოს კომისიის;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის;
- დ) გამგებლის (მერის).

33. რა შეიძლება მოხდეს, თუ კანონიერი მოთხოვნიდან 1 კვირის ვადაში საკრებულოს თავმჯდომარე (მისი არყოფნის შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე) არ მოიწვევს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას?

- ა) რიგგარეშე სხდომა აღარ მოიწვევა;
- ბ) საკრებულო უფლებამოსილია თავმჯდომარის მოწვევის გარეშე შეიკრიბოს;
- გ) რიგგარეშე სხდომა აღარ მოიწვევა, მაგრამ მისი დღის წესრიგის პროექტით განსაზღვრული საკითხები განხილული უნდა იქნეს უახლოეს მორიგ სხდომაზე;
- დ) რიგგარეშე სხდომა აღარ მოიწვევა, მაგრამ საკრებულოს თავმჯდომარე უნდა გადადგეს.

34. ვინ თავმჯდომარეობს საკრებულოს რიგგარეშე სხდომას, თუ მას არ ესწრება არც საკრებულოს თავმჯდომარე და არც მისი მოადგილე?

- ა) გამგებელი;
- ბ) საკრებულოს დამსწრეთაგან უხუცესი წევრი;
- გ) საკრებულოს აპარატის უფროსი;
- დ) საკრებულოში უმრავლესობის მქონე ფრაქციის თავმჯდომარე.

35. საკრებულოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ მას ესწრება:

- ა) საკრებულოს წევრთა 1/3 მაინც;
- ბ) საკრებულოს წევრთა ნახევარზე მეტი;
- გ) საკრებულოს წევრთა 2/3;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარე და საკრებულოს 5 წევრი მაინც.

36. საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილება, როგორც წესი, მიიღება:

- ა) დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით;
- ბ) ხმის მიცემაში მონაწილე წევრთა ხმათა უმრავლესობით;
- გ) დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობის 1/3;
- დ) საკრებულოს წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით.

37. საკრებულოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება:

- ა) მხოლოდ ფარული კენჭისყრით;
- ბ) მხოლოდ ღია კენჭისყრით;
- გ) როგორც წესი ფარული კენჭისყრით;
- დ) როგორც წესი ღია კენჭისყრით.

38. საკრებულოს ბიურომ სხდომის დღის წესრიგში შეიტანა გამგეობის ერთ-ერთი სამსახურის უფროსის ანგარიშის მოსმენა. მართებულია თუ არა ეს გადაწყვეტილება?

- ა) არ არის მართებული, ვინაიდან „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ორგანული კანონის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია არა საკრებულოს, არამედ გამგებლის წინაშე;
- ბ) მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საკითხი შეთანხმებულია გამგებელთან;
- გ) მართებულია, ვინაიდან გამგეობის თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა შედის საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებში;
- დ) არ არის მართებული, ვინაიდან გამგეობის და მისი სამსახურების საქმიანობისათვის არა სამსახურის უფროსი, არამედ გამგებელია პასუხისმგებელი.

39. საკრებულოს თავმჯდომარის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს:

- ა) საკრებულოს ნებისმიერ წევრს;
- ბ) მხოლოდ საკრებულოს ფრაქციას;
- გ) საკრებულოს წევრთა არა ნაკლებ 1/3;
- დ) გამგებელს (მერს).

40. საკრებულოს თავმჯდომარე ირჩევა:

- ა) კონკურსის საფუძველზე;
- ბ) საკრებულოს შემადგენლობიდან დამსწრეთა ხმების უმრავლესობით;
- გ) მოსახლეობის მიერ;
- დ) საკრებულოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით.

საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“

1. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება წარმოადგენდეს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეს

- ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;
- ბ) მოხელე;
- გ) დამხმარე მოსამსახურე;
- დ) შტატგარეშე მოსამსახურე.

2. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი სახის მოსამსახურე მიიღება ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურში არა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად?

- ა) მოხელე;
- ბ) დამხმარე მოსამსახურე;
- გ) შტატგარეშე მოსამსახურე;

დ) სპეციალური მოსამსახურე.

3. ვინ ამტკიცებს ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივ სარგოებს?

- ა) გამგებელი (მერი);
- ბ) ფინანსთა სამინისტრო;
- გ) საჯარო სამსახურის ბიურო;
- დ) საკრებულო.

4. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს საჯარო სამსახურის კანონით დადგენილ ერთ-ერთ ძირითად პრინციპს?

- ა) კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საჯარო სამსახურში;
- ბ) საჯარო სამსახურის უპარტიოება და საერო ხასიათი;
- გ) საჯარო სამსახურის ზრუნვა მოქალაქეთა მატერიალურ კეთილდღეობასა და სულიერ სიმშვიდეზე;
- დ) საჯარო სამსახურის მიერ მოსახლეობის წინაშე აღებულ გეგმა-ვალდებულებათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის კანონით დადგენილ ძირითად მოთხოვნას?

- ა) სახელმწიფო ენის ფლობა;
- ბ) საშუალო განათლება მაინც;
- გ) შესაბამისი თანამდებობისათვის კანონით ან კანონის საფუძველზე მიღებული ნორმატიული აქტით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- დ) საქართველოს მოქალაქეობა?

6. შეიძლება თუ არა ნასამართლევი პირის მიღება ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურში?

- ა) შეიძლება, თუ პირი ნასამართლევი არ არის განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის;
- ბ) შეიძლება, თუ პირი ნასამართლევი არ არის მძიმე დანაშაულისათვის;
- გ) ნასამართლევი პირის ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურში მიღება დაუშვებელია;
- დ) შეიძლება, თუ ამას დაუშვებს საკრებულოს რეგლამენტი ან გამგეობის დებულება.

7. რომელი წარმოადგენს ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელისათვის კანონით დადგენილ სპეციალურ მოთხოვნას?

- ა) სამსახურში მიღებისას სამედიცინო- ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ ცნობის წარდგენა;
- ბ) სამსახურში მიღებისას და შემდგომ ყოველწლიურად ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის წარდგენა;
- გ) სპეციალური მომზადების გავლა საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ დადგენილი წესით;
- დ) შესაბამისი თანამდებობისათვის დაწესებული სპეციალური ტესტების ჩაბარება.

8. ვალდებულია თუ არა პირი სამსახურში მიღებისას წარადგინოს ცნობა სამედიცინო-ნარკოლოგიური შემოწმების შესახებ?

ა) არ არის ვალდებული;

ბ) ვალდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შემჩნეული იყო ნარკოტიკების მოხმარებაში;

გ) ვალდებულია;

დ) ვალდებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნასამართლევა განზრახ ჩადენილი დანაშაულისათვის.

9. ვინ შეიძლება შემოიღოს გამგეობის სტრუქტურული ერთეულის მოხელისათვის დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები?

ა) მხოლოდ სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა;

ბ) საქართველოს პრეზიდენტმა;

გ) საკრებულომ;

დ) საჯარო სამსახურის ბიურომ.

10. რა ვადით მიიღება ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურში გამგეობის სტრუქტურული ერთეულის მოხელე?

ა) საკრებულოს უფლებამოსილების ვადით;

ბ) არა ნაკლებ 2 წლის ვადით;

გ) შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვადით;

დ) განუსაზღვრელი ვადით.

11. რა ვადით მიიღება ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურში შტატგარეშე მოსამსახურე?

ა) საკრებულოს უფლებამოსილების ვადით;

ბ) დავალების შესრულების ვადით;

გ) გამგებლის უფლებამოსილების ვადით;

დ) განუსაზღვრელი ვადით. დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით

12. რა ვადას არ უნდა აღემატებოდეს მოხელის გამოსაცდელი ვადა?

ა) 6 თვეს;

ბ) ერთ წელიწადს;

გ) შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადას;

დ) მოხელეს გამოსაცდელი ვადა არ შეიძლება დაუწესდეს.

13. გამგეობის სტრუქტურული ერთეულის სპეციალისტი გამგებელმა დააწინაურა უფროს სპეციალისტად 3 თვიანი გამოსაცდელი ვადით. მართებულია თუ არა გამგებლის ეს გადაწყვეტილება?

ა) მართებულია, რადგან მხოლოდ გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ გაირკვევა გაართმევს თავს თუ არა დაწინაურებული მოხელე გაზრდილ სამსახურეობრივ მოვალეობებს;

ბ) მართებულია, რადგან მოხელის დაწინაურება გამოსაცდელი ვადის გარეშე დაუშვებელია;

- გ) არა არის მართებული, რადგან გამოსაცდელი ვადა არ უნდა იყოს 6 თვეზე ნაკლები;
- დ) არ არის მართებული, რადგან დაწინაურებული მოხელის მიმართ გამოსაცდელი ვადა არ გამოიყენება.

14. რა შემთხვევაში შეიძლება მოხელე დაინიშნოს უკონკურსოდ?

- ა) თუ იგი წარმოადგენს ცნობას სამეცნიერო ხარისხის მოპოვების შესახებ;
- ბ) სამსახურებრივი დაწინაურებისას;
- გ) თუ იგი იკავებს შტატგარეშე მოსამსახურის თანამდებობას;
- დ) თუ მან მიაღწია 35 წლის ასაკს.

15. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ არის აუცილებელი მონაცემი საჯარო სამსახურის ვაკანტურ თანამდებობაზე კონკურსის შესახებ შეტყობინებისათვის?

- ა) კანდიდატისათვის წაყენებული მოთხოვნები;
- ბ) ვაკანტური თანამდებობის დასახელება;
- გ) შემდგომი კარიერის პერსპექტივა;
- დ) თანამდებობრივი სარგო.

16. რამდენი კანდიდატი უნდა წამოაყენოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ კონკურსის შედეგების საფუძველზე ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად?

- ა) არა ნაკლებ 2 კანდიდატისა;
- ბ) არა უმეტეს 2 კანდიდატისა;
- გ) იმდენი კანდიდატი, რამდენსაც საჭიროდ მიიჩნევს;
- დ) უნდა წამოაყენოს ერთ-ერთი კანდიდატი ან უარი განაცხადოს კანდიდატის წამოყენებაზე.

17. რა შემთხვევებში ცხადდება ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული კონკურსი ჩაშლილად?

- ა) თუ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ წარდგენილი კანდიდატი უარს იტყვის ვაკანტური თანამდებობის დაკავებაზე;
- ბ) თუ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად არ შემოვა არც ერთი განცხადება, ანდა კომისია უარს იტყვის კანდიდატის წამოყენებაზე;
- გ) თუ საკრებულო უნდობლობას გამოუცხადებს საკონკურსო-საატესტაციო კომისიას;
- დ) თუ საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე გადადგება.

18. ვის უნდა აცნობოს საკონკურსო-საატესტაციო კომისიამ ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსის შედეგები?

- ა) მხოლოდ საუკეთესო კანდიდატსა და ვაკანტურ თანამდებობაზე დამნიშნავ თანამდებობის პირს;
- ბ) მხოლოდ ვაკანტურ თანამდებობაზე დამნიშნავ თანამდებობის პირს;
- გ) კონკურსში მონაწილე ყოველ კანდიდატს და ვაკანტურ თანამდებობაზე დამნიშნავ თანამდებობის პირს;
- დ) საჯარო სამსახურის ბიუროსა და საუკეთესო კანდიდატს.

19. რას მოიცავს საჯარო მოსამსახურის ხელფასი?

- ა) შრომით გასამრჯელოსა და პრემიას;
- ბ) თანამდებობრივ სარგოსა და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს;
- გ) შრომით გასამრჯელოს და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს;
- დ) თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს.

20. რამდენ საათს არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო კვირის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურის სამუშაო დრო?

- ა) 40 საათს;
- ბ) 72 საათს;
- გ) 36 საათს;
- დ) სამუშაო დრო არანორმირებულია.

საქართველოს კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“

1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად სამართლებრივი აქტის სახეებია:

- ა) საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტი;
- ბ) ადმინისტრაციული აქტი და კანონი;
- გ) ნორმატიული აქტი და ინდივიდუალური აქტი;
- დ) დადგენილება და განკარგულება.

2. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად ნორმატიული აქტი:

- ა) შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს;
- ბ) განსაზღვრავს პირთა უფლება–მოვალეობებს;
- გ) უნდა შეესაბამებოდეს ინდივიდუალურ აქტს;
- დ) უნდა ასახავდეს დაინტერესებული მხარეების ინტერესებს.

3. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის ნორმატიული აქტი მოქმედებს:

- ა) დადგენილებაში მითითებული პირების მიმართ, მიუხედავად ტერიტორიისა;
- ბ) იმ კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, რომლის შესასრულებლადაც არის მიღებული დადგენილება;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის მთელ ტერიტორიაზე;
- დ) დადგენილებით განსაზღვრულ ტერიტორიაზე.

4. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიხედვით საქართველოს კანონმდებლობას ექნის:

- ა) ყველა თვითმმართველი ერთეულის ნორმატიული აქტების ერთობლიობა;
- ბ) საქართველოს საკანონმდებლო და საქართველოს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები;
- გ) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე უფლებამოსილი ორგანოების მიერ მიღებული სამართლებრივი აქტების ერთობლიობა;
- დ) საქართველოს კანონების ერთობლიობა.

5. „ნორმატიული აქტების შესახებ“ კანონის მიხედვით საქართველოს კონსტიტუცია არის:

- ა) საერთაშორისოდ აღიარებული სამართლებრივი აქტი;
- ბ) საქართველოს საკანონმდებლო აქტი;
- გ) საქართველოს კონსტიტუციური კანონი;
- დ) საქართველოს უმაღლესი სადამფუძნებლო აქტი.

**საქართველოს კანონი
„ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“**

1. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტთაგან რომელი არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტს?

- ა) საკრებულოს დადგენილება;
- ბ) საკრებულოს განკარგულება;
- გ) საკრებულოს თავმჯდომარის დავალება;
- დ) გამგებლის ბრძანება.

2. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილ სამართლებრივ აქტთაგან რომელი წარმოადგენს აღმჭურველ ინდივიდუალურ–სამართლებრივ აქტს?

- ა) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება მშენებლობის ნებართვის თაობაზე;
- ბ) საკრებულოს დადგენილება ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;
- გ) საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივ თვითმმართველობის შესახებ“;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება გამგეობის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ.

3. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტთაგან რომელი წარმოადგენს ადმინისტრაციული ხელშეკრულებას?

- ა) გამგებლის მიერ დადებული შრომითი ხელშეკრულება გამგეობის შტატგარეშე მოსამსახურესთან;

- ბ) გამგებლის ბრძანება ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ;
- გ) საკრებულოს განკარგულება საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის დანიშვნის შესახებ;
- დ) საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ;

4. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტთაგან რომელი მიიჩნევა განცხადებად?

- ა) საკრებულოს წევრის განცხადება პროტესტის ნიშნად საკრებულოს კომისიის სხდომის დატოვების შესახებ;
- ბ) ლეიბორისტული პარტიის მიერ გამგეობაში შეტანილი განცხადება გამგებლის თანამდებობიდან გადადგომის თაობაზე;
- გ) მოქალაქის მიერ გამგეობაში შეტანილი განცხადება სოციალური დახმარების მიღების თაობაზე;
- დ) ყველა ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტი.

5. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად რა ეწოდება საკრებულოს დადგენილების მიღების მიზნით გამგეობის საქმიანობას?

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება;
- ბ) ადმინისტრაციული წარმოება;
- გ) დადგენილების პროექტზე მუშაობა;
- დ) საკრებულოს საქმიანობის ხელშეწყობა.

6. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით ქვემოთ ჩამოთვლილ დოკუმენტთაგან რომელი შეიძლება არ წარმოადგენდეს საჯარო ინფორმაციას?

- ა) გამგეობის საშტატო განრიგი;
- ბ) ცნობა გამგეობის მოხელის ავადმყოფობის შესახებ;
- გ) გამგეობაში შესული ადმინისტრაციული საჩივარი;
- დ) ცნობა გამგეობის მოხელის ხელფასის შესახებ;

7. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით მშენებლობის ნებართვის თაობაზე მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოებისას ქვემოთ ჩამოთვლილ პირთაგან რომელი არ შეიძლება იყოს დაინტერესებული მხარე?

- მშენებლობის ნებართვის გამცემი თანამდებობის პირი;
- ბ) ნებართვის მისაღებად განმცხადების შემომტანი მოქალაქე;
- გ) ნებართვის მისაღებად განცხადების შემომტანი მოქალაქის მეზობელი;
- დ) ზემოთ ჩამოთვლილი ყველა პირი.

8. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად:

- ა) საჯარო ინფორმაციას წარმოადგენს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც ინახება გამგეობაში, გარდა სახელმწიფო საიდუმლოებისა;
- ბ) საკრებულოს სხდომაზე გამართული ღია კენჭისყრის შედეგები არ წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას;
- გ) საჯარო გამგეობაში არსებული ნებისმიერ დოკუმენტი, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა და თუ იგი არ შეიცავს სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებას;
- დ) დოკუმენტის გასაიდუმლოება შეიძლება მხოლოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს გადაწყვეტილებით;

9. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით საჯარო ინფორმაციის მისაღებად პირი:

- ა) დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას გამგეობის პასუხისმგებელ მოხელესთან;
- ბ) ვალდებულია მიმართოს სასამართლოს;
- გ) ვალდებულია გადაიხადოს საფასური და წერილობითი განცხადებით, რომელშიც მითითებული იქნება ინფორმაციის მოთხოვნის მოტივი, მიმართოს გამგეობის პასუხისმგებელ მოხელეს;
- დ) გამგეობაში უნდა წარადგინოს წერილობითი განცხადება.

10. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით“ გამგეობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად გამგებელი:

- ა) პირადად გასცემს ან უარს აცხადებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე;
- ბ) პირადად აწარმოებს საჯარო რეესტრს;
- გ) ვალდებულია დაადგინოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი მოხელე;
- დ) ატარებს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებას;

11. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით ვალდებულია თუ არა საკრებულოს თავმჯდომარე გუბერნატორის მოთხოვნით მას გადაუგზავნოს გამგეობაში დაცული რომელიმე პირის პერსონალური მონაცემები?

- ა) არ არის ვალდებული;
- ბ) ვალდებულია;
- გ) ვალდებულია, თუ გუბერნატორი ამ მონაცემების მოთხოვნას წერილობით ასაბუთებს;
- დ) ვალდებულია, თუ გუბერნატორი ამ მონაცემებს წერილობით მოითხოვს და წარადგენს იმ პირის წერილობით თანხმობას, რომლის მონაცემებიც ინახება გამგეობაში.

12. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით რა ვადაში უნდა გაიცეს საჯარო ინფორმაცია?

- ა) დაუყოვნებლივ, ხოლო თუ ინფორმაცია მოითხოვს დამუშავებას, მოძიებას სხვა საჯარო დაწესებულებასთან კონსულტაციას, ან ინახება სხვა დასახლებულ პუნქტში და დასამუსავებელია 10 დღის ვადაში
- ბ) ერთი თვის ვადაში;
- გ) 10 დღის ვადაში;
- დ) განმცხადებლის მიერ მითითებულ ვადაში.

13. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით აუცილებლად უნდა გაიცეს თუ არა ინფორმაცია საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანების პროექტზე მომუშავე მოხელეების ვინაობის შესახებ?

- ა) აუცილებლად უნდა გაიცეს, ვინაიდან დაინტერესებულ მხარეს იმ მოხელეებთან ჰქონდეთ საქმე, რომლებიც გადაწყვეტილების პროექტს ამზადებენ;
- ბ) შეიძლება არ გაიცეს, რადგან თანამდებობის პირის მიერ გადაწყვეტილებათა მომზადების პროცესში მონაწილე სხვა საჯარო მოსამსახურეთა ვინაობა დაცულია გამხელისაგან აღმასრულებელი პრივილეგიით;
- გ) აუცილებლად უნდა გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამცხადებელი დაასახელებს ინფორმაციის მოპოვების მოტივს;
- დ) არ უნდა გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება გამცხადებლის კანონიერ ინტერესებს არ შეეხება.

14. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად შეუძლია თუ არა გამგეობას შეაგროვოს პერსონალური მონაცემები მოსახლეობის რელიგიურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით?

- ა) არ შეუძლია, რადგან კანონით დაუშვებელია პირის რელიგიურ ან ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების შეგროვება;
- ბ) შეუძლია მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში;
- გ) შეუძლია მხოლოდ საკრებულოს მიერ დადგენილ შემთხვევებში;
- დ) შეუძლია მხოლოდ იმ პირების ნებართვით, ვისზეც პერსონალური მონაცემები გროვდება.

15. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად გამგებლის ბრძანება უნდა გამოიცეს:

- ა) მხოლოდ წერილობითი ფორმით;
- ბ) მხოლოდ ელექტრონული დოკუმენტის ფორმით;
- გ) მხოლოდ ზეპირად;
- დ) წერილობით ან შესაძლებელია ზეპირად, რაც მიღებიდან სამი დღის ვადაში უნდა გამოიცეს წერილობით.

16. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად ქვემოთ ჩამოთვლთაგან რომელი არ წარმოადგენს გამგებლის ბრძანების სავალდებულო რექვიზიტს?

- ა) ბრძანების სათაური;
- ბ) გამგებლის ხელმოწერა;
- გ) ბრძანების გამოცემის თარიღი;
- დ) ბრძანების ადრესატი.

17. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ თანახმად ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ შემთხვევაში არ საჭიროებს დასაბუთებას საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება?

- ა) ბრძანება შეეხება მშენებლობის ნებართვას;
- ბ) ბრძანება გამოცემულია საკრებულოს თავმჯდომარის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში;
- გ) დაინტერესებული მხარისათვის ცნობილია ის ფაქტობრივი და სამართლებრივი წინაპირობები, რომელთა საფუძველზედაც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- დ) ბრძანება გამოცემულია საჯარო ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე.

18. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით უნდა მიეთითოს თუ არა საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებაში ის საკანონმდებლო ან ნორმატიული აქტის ნორმა, რომლის საფუძველზეც გამოიცა ბრძანება?

- ა) არ უნდა მიეთითოს;
- ბ) უნდა მიეთითოს, თუ ამას ითვალისწინებს შესაბამისი ნორმატიული აქტი;
- გ) სასურველია მიეთითოს;
- დ) უნდა მიეთითოს

19. „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით გამგებლის ბრძანება მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ძალაში შედის:

- ა) აქტის მოხელისათვის გაცნობისთანავე;
- ბ) აქტის გამოცხადების შემდგომ დღეს;
- გ) აქტის მოხელისათვის გაცნობისთანავე, თუ მოხელე აქტს დაეთანხმება;
- დ) აქტით განსაზღვრულ დღეს.

20. რა შემთხვევაში შეიძლება გამოქვეყნებამდე ან გაცნობამდე შევიდეს ძალაში საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება?

- ა) არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება;
- ბ) „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მიხედვით შეიძლება კანონით განსაზღვრულ ისეთ შემთხვევებში, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება არსებითი ზიანი მიაყენოს საჯარო ინტერესებს;
- გ) შეიძლება, თუ აქტი უკვე აღსრულებულია;

დ) შეიძლება, თუ აქტი გამოცემულია ფორმალური ადმინისტრაციული წარმოებით.

საქართველოს კანონი
„ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო
ზედამხედველობის შესახებ“

1. რა სახეებისა სახელმწიფო ზედამხედველობა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე?

- ა) სამართლებრივი ზედამხედველობა და ადმინისტრაციული ზედამხედველობა;
- ბ) ზოგადი მეთვალყურეობა და კერძო ზედამხედველობა;
- გ) სამართლებრივი ზედამხედველობა და დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების ზედამხედველობა;
- დ) ადმინისტრაციული ზედამხედველობა და ფინანსური კონტროლი.

2. თვითმმართველობის ორგანოების რომელ აქტებზე ხორციელდება სამართლებრივი ზედამხედველობა?

- ა) მხოლოდ საკრებულოს დადგენილებებზე;
- ბ) მხოლოდ საკრებულოს დადგენილებებზე და განკარგულებებზე;
- გ) მხოლოდ საკრებულოს დადგენილებებზე და გამგებლის ბრძანებებზე;
- დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების ნებისმიერ ადმინისტრაციულ აქტზე.

3. როგორც წესი, ვინ ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას საკრებულოსა და გამგეობის საქმიანობაზე?

- ა) საქართველოს პრეზიდენტი;
- ბ) საქართველოს მთავრობის კანცელარია;
- გ) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი;
- დ) იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო.

4. ვინ ახორციელებს ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე დელეგირებულ უფლებამოსილებებზე?

- ა) საქართველოს პრეზიდენტი და საქართველოს მთავრობა;
- ბ) იუსტიციის სამინისტრო და სახელმწიფო რწმუნებული;
- გ) მხოლოდ სახელმწიფო რწმუნებული;
- დ) როგორც წესი, სახელმწიფო რწმუნებული, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული ორგანო ან თანამდებობის პირი.

5. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი არ შეიძლება წარმოადგენდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის კანონიერ მიზანს?

- ა) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა კანონიერების პრინციპის შესაბამისად;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში;
- გ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ მათთვის დელეგირებულ უფლებამოსილებათა განხორციელება სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად;
- დ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის ხარჯვა ფინანსთა სამინისტროს ინტერესების შესაბამისად.